

## სადირექციო წერა მათემატიკაში

08.11.2024

### X კლასი

- იპოვეთ  $x^4 + bx^2 + c = 0$  ბიკვადრატული განტოლების  $b$  და  $c$  კოეფიციენტის მნიშვნელობები, თუ განტოლების უდიდესი ფესვი  $x = 6$ , ხოლო 4-ვე ფესვი წარმოადგენს თანმიმდევრობით აღებული არითმეტიკული პროგრესის წევრებს.
- $f(x)$  ფუნქცია ლუწია და პერიოდული  $T = 7$ -ის ტოლი პერიოდით. ცნობილია, რომ  $f(2) + f(12) = 10$ . იპოვეთ  $f(2025) = ?$
- იპოვეთ  $f(x) = \frac{\sqrt{1-\sin x}+\sqrt{1-x}}{x^2-4}$  ფუნქციის განსაზღვრის არე
- გამოიანგარიშეთ: a)  $\frac{16 \sin 251^\circ - 10 \cos 161^\circ}{2 \cos 19^\circ}$  b)  $\cos 105^\circ$
- იპოვეთ:  $5\cos\alpha - 12\sin\alpha - 20 \sin\left(\frac{\pi}{7} - 3\beta\right) + 21 \cos\left(3\beta - \frac{\pi}{7}\right)$  გამოსახულების უმცირესი შესაძლო მნიშვნელობა.
- A(2;1) წერტილიდან B წერტილი მიიღება კოორდინატთა სათავის მიმართ K=5 კოეფიციენტის ტოლი ჰომოტეტით, ხოლო C წერტილი მიიღება A წერტილის კოორდინატთა სათავის მიმართ  $90^\circ$  მობრუნებით (დადებითი მიმართულებით). იპოვეთ მანძილი B და C წერტილებს შორის.
- $\vec{a}$  და  $\vec{b}$  ვექტორებს შორის კუთხე  $120^\circ$  -ია.  $|\vec{a}| = 3$ ,  $|\vec{b}| = 5$ . იპოვეთ  $\vec{a} - \vec{b}$  ვექტორის სიგრძე.
- ტოლფერდა ტრაპეციის თანმიმდევრობით აღებული წვეროებია A(3;0), B(0;3), C(0;7) და D( $x;y$ ), დაასახელეთ D წერტილის ორივე D<sub>1</sub> და D<sub>2</sub> შესაძლო მდებარეობის კოორდინატები და სიბრტყის გარდაქმნა, რომელსაც BD<sub>2</sub> გადაჰყავს BD<sub>1</sub>-ში
- (ბონუსი) ცნობილია, რომ  $x$  მახვილი კუთხეა, ამასთან  $\sin x < \sin 2x < \sin 3x < \sin 4x$ , მაგრამ  $\sin 5x < \sin 4x$ . იპოვეთ  $x$ -ის ყველა შესაძლო მნიშვნელობა. პასუხი ჩაწერეთ რადიანულ ზომებში.